№2381 2015 წლის 9 ნოემბერი ქ. თბილისი

სს „საქართველოს რკინიგზის“ თბილისი-ბათუმის (მახინჯაურის) მაგისტრალური ხაზის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში შემავალი „ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის მონაკვეთზე“ სამშენებლო სამართალდარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმებისაგან გათავისუფლების თაობაზე

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 26-ე მუხლის 4^1 ნაწილისა და „თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტთან დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 ივლისის №1404 განკარგულების საფუძველზე, სს „საქართველოს რკინიგზა“ (ს/ნ 202886010) გათავისუფლდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2013 წლის 6 დეკემბრის №დად-83/01-21/ჯ დადგენილებითა და 2014 წლის 14 მარტის №დად-11/01-21/ჯ დადგენილებით დაკისრებული საჯარიმო თანხის – 90 000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარის გადახდისაგან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**